დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
ორ ავნერ და ჰანა

შეფასების თარიღ(ებ)ი
12,13 ოქტომბერი, 2022 წელი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
1 ნოემბერი, 2022 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ორ ავნერ და ჰანა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ა(ა)იპ
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	205195457

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა N14გ
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა N14გ
საფოსტო ინდექსი	0114
დაწესებულების ვებ-გვერდი	http://www.oravner.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ელ-ფოსტა	school@oravner.ge
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599 900 166
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**მეირ აშერ კოზლოვსკი**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	577133221
ელ-ფოსტა	school@oravner.ge

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 12/08/2022 წლის ბრძანება MES 0 22 0000899807
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	12,13 ოქტომბერი 2022 წელი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლიანა კობესაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	თამარ მიდელაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი/ქვესტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად			
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი	**მუხლი 7/**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**პუნქტი ა.ბ)**		
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლა არის გახსნილი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული. სკოლამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა კერძო და საჯარო სკოლებთან. გაფორმებული მემორანდუმის მიზანია: საგანმანათლებლო მიღწევებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ერთობლივი საგანმანათლებლო ღონისძიებების - კონფერენციების, სემინარებისა და პროექტების ჩატარება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დამეგობრებისა და ერთობლივი ინიციატივების მხარდაჭერა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის პროფესიული ზრდის შესაძლებლობების, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, პროფესიული და უმაღლესი განათლების სასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობა, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში პარტნიორობა, მესამე პირთან ურთიერთობაში პარტნიორი მხარეების ინტერესების ლობირება. სკოლის მოსწავლეები ჩართული არიან საერთშორისო ოლიმპიადებში.

დაწესებულების მისია	სკოლის მისიას წარმოადგენს უსაფრთხო, ესთეტიკური, ტოლერანტული გარემოს შექმნა; მოსწავლეებისთვის ინოვაციური განათლების დაუფლების ხელშეწყობა; ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბება; ქვეყნის პატრიოტი და მსოფლიოში კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობის აღზრდა; მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება; ზრუნვა პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 140	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადზე დართულ დოკუმენტაციაში წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი გავეცანით დამტკიცებულ პროექტს. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა 2022 წლის 20 ივნისის N4 პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც ეფუძნებოდა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას და მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებს. სასკოლო სასწავლო გეგმა ერთიანი დოკუმენტია დანომრილი ნაწილებითა და დანართებით და მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ყველა აუცილებელ კომპონენტს. სკოლის მისია შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ორიენტირებულია მოსწავლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობის აღზრდაზე. სკოლის ხედვაა: • ჩვენს სკოლაში მოსწავლეები მაღალკვალიფიციური მასწავლებლებისაგან მაღალი დონის განათლებას იღებენ, რომლითაც აკმაყოფილებენ არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების სტანდარტებს, არამედ მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნებსაც. • მოსწავლეები დაინტერესებულნი არიან ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პრინციპებით. • სკოლაში სუფევს პოზიტიური სასკოლო გარემო, სადაც ყველა დაინტერესებული პირი მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, ადმინისტრაცია, თემი თანაბრად არის ჩართული დადებითი სასწავლო და სამუშაო კლიმატის შექმნაში. სასწავლო წელი სკოლაში დაიწყო 2022 წლის 12 სექტემბერს. განსხვავებულ ვადებში სასწავლო წლის დაწყება დაწესებულებას შეთანხმებული აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (იხ. დანართი 1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ბრძანება MES 7 22 0000840484. 25/07/2022 წ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაკვეთილების ხანგრძლივობა 40 წუთია, გაკვეთილებს შორის დასვენებები - 5, 10, 20 , 25 წთ. სკოლაში პირველი კლასიდან ისწავლება მეორე უცხოური ენა-ივრითი (დანართი 2), V-IX კლასებში ისწავლება რუსული ენა. X კლასიდან რუსული ენა იძენს არჩევითი საგნის სტატუსს. XII კლასში არჩევითი საგანია სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა. სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით გაზრდილია საათები შემდეგ საგნებში: • პირვლ უცხოურ ენაში I-V და IX-XII კლასები; • მეორე უცხოურ ენაში I-VIII კლასები; • მათემატიკა VI, XI, XII კლასები; • ქართულ ენასა და ლიტერატურაში XI,XII კლასები; • ისტორია XII კლასი. შემცირებულია საათები შემდეგ საგნებში: • ფიზიკური აღზრდა და სპორტი -ყველა კლასში. ისწავლება 1 საათიანი დატვირთვით; • ბუნებისმეტყველება V-VI კლასები, 1 საათით; • სახვითი და გამოყენებითი ხელოვება VII კლასი, 1 საათით, ხოლო VIII და IX კლასები - 0.5 საათით; • მუსიკა-VIII, IX კლასები 0,5 საათით; • მათემატიკა IX კლასი 1 საათით; • მოქალაქეობა X კლასი 1 საათით; • არჩევითი საგანი, რუსული-X,XI კლასები 1 საათით; • არჩევითი საგანი (სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა) 1-საათით; • მეორე უცხოური ენა -ივრითი XII კლასი 1 საათით. დამატებითი სავალდებულო საგნებია: • ტრადიცია, რომელიც სამ ნაწილადაა ჩაშლილი კლასების მიხედვით: პატარა ებრაელი (I-IV კლასები), ებრაული ტრადიცია (V-VIII კლასები), ცოცხალი მემკვიდრეობა (IX-XI კლასები); • მეცნიერება (II-VI კლასები); • პროგრამირება (VII-VIII კლასები). სკოლა მოსწავლეებს ასევე სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს უფასო წრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სახით: • წიგნიერება - I-II კლასები; • უნარები - III-VI კლასები; • ნორჩ ინოვატორთა კლუბი -VII-IX კლასები; • მაგიდის ჩოგბურთი - VI- XI კლასები. დამატებითი საგნების და წრეების/კლუბების ნაწილში სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი პროგრამები. ამრიგად სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი ბადე წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრულ III მოდელის საათობრივ ბადეს, რაც დაწესებულებას წარდგენილი აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (იხ.დანართი 3-შეთანხმება და დანართი 4, დაზუსტება). სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ასევე: • დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა იმ შემთხვევისთვის, თუ მიმდინარე სასწავლო წელს ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე დადგება ამის საჭიროება (განსაზღვრულია სწავლების ფორმები, პლათფორმა, დისტანციური სწავლების რეჟიმი და საათობრივი ბადე, დისტანციური სწავლების ინდიკატორები); • კათედრების მიერ განსაზღვრული გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; • საგნობრივი კათედრების რაოდენობა და ფუნქციები, რომელიც უფრო დაწვრილებით ჩაშლილია კათედრის დებულებაში; • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა. სკოლაში მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების სისტემის შესაბამისია, კერძოდ შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათქულიანი, განსაზღვრულია დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასების ფორმა, ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები, შეფასების კომპონენტები, შეფასების ზოგადი რუბრიკები, დიაგნოსტიკური წერების ჩატარების ვადები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და საგნები, რაშიც მოხდება დიაგნოსტიკური წერების ჩატარება; • შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, რომელიც ემთხვევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების მინიმალურ რაოდენობას; • შინსწავლების პრინციპები და ინკლუზიური განათლების კონცეფცია. კონკრეტული ქმედებები, რასაც განახორციელებს სკოლა სსსმ მოსწავლესთან მიმართებაში. ვიზიტის პერიოდში სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავდა. სკოლას დაწყებული აქვს მუშაობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის კურიკულუმების (კომპლექსური დავალებები) შედგენაზე. ამრიგად, სასკოლო სასწავლო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა ნაწილს მოიცავს, ამასთან კლუბებსა და წრეებზე (პროგრამირება, მეცნიერება, ნორჩ ინოვატორთა კლუბი) მოსწავლეები ეცნობიან მეწარმეობის და სტარტაპების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, პროგრამირების და კოდინგის ანალიზსა და მის გამოყენებას, პროგრამირების ელემენტებს, მდგრადი განვითარების პრინციპებს. მიმდინარეობს მუშაობა რომ მოსწავლემ გააცნობიეროს პირადი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, ისწავლოს გარემოს აღქმა საკუთარ შეგრძნებებზე დაყრდნობით, განუვითარდეს შემეცნებითი უნარები, შემოქმედებითი შესაძლებლობები, ჩამოუყალიბდეს სასწავლო ჩვევები რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ ვთქვათ რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმას. კლასში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება მაქსიმუმ 18 მოსწავლით. სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სასკოლო საზოგადოებისათვის სასკოლო სასწავლო გეგმის გაზიარება ხდება მშობელთა კრებებზე დამრიგებლების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში. კერძოდ, მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია საათობრივი ბადის, გამოსაყენებელი რესურსების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგნების მიხედვით შეფასებების, სასკოლო პროექტების, გაცდენების და სხვა შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • დანართი 1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ბრძანება MES 7 22 0000840484. 25/07/2022 წ; • დანართი 2. თანხმობა მეორე უცხოურ ენად ივრითის სწავლება; • დანართი 3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 27/07 /2022წ. წერილი MES 7 22 0000847766; • დანართი 4.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. **09/09/2022წ. წერილი** MES 3 22 0001033106; • 2022 წლის 02 სექტემბრის ბრძანება N2-48 ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ; • 2022 წლის 1 სექტებრის პედაგოგიური საბჭს სხდომის ოქმი N1; • კათედრების 2022 წლის N1 სხდომის ოქმები; • დამრიგებლების პორთფოლიოები; • ინტერვიუ დირექციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	**სკოლაში საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შექმნილია ხუთი საგნობრივი კათედრა:** • ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის, ტრადიციის (პატარა ებრაელი, ებრაული ტრადიცია და ცოცხალი მემკვიდრეობა), მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების, მოქალაქეობის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები; • უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენის, ივრითის და რუსული ენის მასწავლებლები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, პროგრამირების, ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, სამედიცინო ბიოლოგიისა და ჯანმრთელობის და მეცნიერების მასწავლებლები; • სპორტის და ესთეტიკური აღზრდის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის და სპორტის მასწავლებლები • დაწყებითი (I-IV) კლასების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები. კათედრების მუშაობა წარიმართება კათედრის დებულების შესაბამისად. სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმით, განსაზღვრული აქვს შემაჯამებელ დავალებათა რაოდენობა. შემაჯამებელ დავალებებში ძირითადად გამოიყენება კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან ფუნქციური ცოდნის წარმოჩენას. სკოლა გარდა ფორმალური განათლებისა მოსწავლეთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ეფექტიანად იყენებს არაფორმალურ განათლებას კლუბებისა და წრეების სახით, მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით კი გეგმავს და ახორციელებს სასკოლო პროექტებს, რაც ეტაპობრივად ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტული თემების სასკოლო კულტურაში ჩაშენებას ითვალისწინებს. ვიზიტის პერიოდში მოსწავლეები მუშობდნენ პრიორიტეტულ თემაზე „ჯანსაღი ცხოვრება“. მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის და შესაბამისი მაკორექტირებელი საქმიანობის დასაგეგმად, სკოლას დაწყებული აქვს მოსწავლეთა აკადემიური შედეგების კვლევა. კერძოდ, სკოლა აკეთებს თითეული მოსწავლის 3 წლის აკადემიური მოსწრების ანალიზს თითოეულ საგანში, რათა დინამიკაში დაინახოს ყოველ კონკრეტულ საგანში მოსწავლის განვითარება და საჭიროების შემთხვევაში (თუ დინამიკა უცვლელია ან დინამიკა მოსწავლის აკადემიური მოსწრების სასარგებლოდ არ ვითარდება) შეიმუშაოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სირთულეების დაძლევის გზები. დაგეგმილია, რომ აღნიშნულ პროცესში თანამონაწილე იყოს მშობელიც, რომელსაც სკოლა ჩართავს მაკორექტირებელ ღონისძიებებში. კათედრებზე მუშავდება სწავლა/სწავლების თანამედროვე მიდგომები, სტრატეგიები. დამუშავებული სიახლეები პილოტირებას გადის პრაქტიკაში, გაკვეთილებზე და შემდეგ უკვე ინერგება სასწავლო პროცესში. თანამედროვე სწავლა სწავლების სტრატეგიები და ეფექტიანად შერჩეული დამხმარე რესურსები საშუალებას აძლევს მასწავლებელს წარმართოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სადამრიგებლო საათის თემები მიმართულია მოსწავლეთა პიროვნულ, მორალურ, სოციალურ, შემეცნებით და კულტურულ განვითარებაზე. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • კათედრების პორთფოლიო; • დამრიგებლების პორთფოლიოები; • ინტერვიუ დირექციასთან; • ინტერვიუ მასწავლებლებთან; • ინტერვიუ მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ყველა პირობას ქმნის რათა მოსწავლეები უზრუნველყოს სწავლისა და განვითარების თნაბარი შესაძლებლობებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს მოსწავლეთა მზაობიდან გამომდინარე. გაკვეთილებს გეგმავენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მსწავლელთა ტიპების გათვალისწინებით. სკოლაში სსსმ მოსწავლე არ სწავლობს, თუმცა სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოს ის შესაბამისი ადამიანური და სასწავლო რესურსებით. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მათ კარგად აქვთ გააზრებული თუ როგორ უნდა იმოქმედონ იმ შემთხვევაში, თუ სკოლას ეყოლება სსსმ მოსწავლე, ან როგორ მოახდინონ იმ მოსწავლეთა პირველადი მართვა, რომელთაც ექნებათ პრობლემები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტის დაძლევაში. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც ხელს უწყობს ახალ მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო სივრცეში. ამრიგად სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ის არის ხუთდონიანი და 10 ქულიანი. მოსწავლეები ფასდებიან საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტში განმსაზღვრელი და/ან განმავითარებელი შეფასებით. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს : • შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა საგნებისა და კლასების მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შემაჯამებელი დავალებების აღგენის წესი (ვადები და ფორმები); • საშემოდგომო გამოცდის ჩატარების ფორმა და ვადები; • სკოლის მიერ განსაზღვრული დამატებით სავალდებულო საგნების შეფასების ფორმები. ტესტური დავალებების შემთხვევაში გათვალისწინებულია როგორც დახურული ასევე ღია სააზროვნო ტიპის დავალებები. მასწავლებლებს წინასწარ აქვთ შეფასების რუბრიკა შემუშავებული. შემაჯამებელი დავალების შედეგები მუშავდება და განისაზღვრება მოსწავლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას: • განმსაზღვრელი შეფასებით (დაწყებული მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან საკლასო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტში და VII კლასიდან დამატებით საშინაო დავალების კომპონენტში). შეფასებები ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული შეფასების რუბრიკების გამოყენებით; • განმავითარებელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი და მათ შორის უკუკავშირი, რომელიც აისახება ელექტრონულ ჟურნალში და ხედავს მშობელი საგნობრივი კათედრების პორთფოლიოებში წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმები, ხოლო შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებში შესაბამისი შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები. შემაჯამებელი დავალებები დამუშავებულია თითოეული მოსწავლის დონეზე და განსაზღვრულია მოსწავლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. შემაჯამებელი დავალების დროს გამოვლენილ ხარვეზებზე მუშაობა მიმდინარეობს უკვე საგაკვეთილო პროცესში. შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებისათვის ცნობილია და ის მათ მიერ გამოიყენება დამოუკიდებლად სწავლის პროცესში. შეფასების ზოგად პრინციპებს სასწავლო წლის დასაწყისშივე აცნობენ დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, ხოლო შემდგომ უკვე სასწავლო პროცესში ხდება ამ რუბრიკების დაზუსტება. ამრიგად სკოლაში გამოყენებული შეფასების სიტემა ეროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების სისტემის შესაბამისია და გამოიყენება მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • კათედრების პორთფოლიოები; • შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები; • ინტერვიუ დირექციასთან, მასწავლებლებთან; • ინტერვიუ მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა აცნობიერებს, რომ მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, გამოირჩევიან უფრო მაღალი აკადემიური მოსწრებით, დისციპლინით, პოზიტიური ქცევით, აქვთ საკუთარი თავის რწმენა. გამომდინარე აქედან სკოლა ყველა ღონეს ხმარობს უზრუნველყოს მშობლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა. ამისთვის სკოლა იყენებს მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას: სოციალური ქსელი, სატელეფონო შეტყობინება, პირადი შეხვედრები და სხვა თუმცა, ყველაზე მოხერხებულ ფორმად როგორც სკოლა ასევე მშობლები ელექტრონულ სასკოლო ჟურნალს ასახელებენ, რომელიც საკმაოდ ინფორმაციულია და ადვილად მოსახმარია. სასკოლო ჟურნალის დახმარებით მშობლები სისტემატურად ღებულობენ ინფორმაციას მათი შვილების როგორც აკადემიურ მიღწევებზე (განმსაზღრელი შეფასება), ასევე განვითარების დინამიკაზე (განმავითარებელი შეფასება). სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი. მშობელთა კომიტეტი სკოლის ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას წარმოადგენს მშობელთა და სკოლის მოსწავლეთა ინტერესებს და მისი მიზნები და ამოცანებია უზრუნველყოს სკოლასა და მშობლებს შორის გამართული კომუნიკაცია, გაუწიოს კონსულტაცია სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადმინისტრაციას სხვადასხვა პროექტების, საკლუბო აქტივობების, სადღესასწაულო თუ სხვა სახის ღონისძიების ჩატარებისას და მიაწოდოს მას მშობელთა პოზიცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, მიაწოდოს სკოლის ადინისტრაციას მშობელთა ინიციატივები და გაზარდოს მშობელთა წარმომადგენლობითი როლი სასწავლო პროცესში. მშობელთ კომიტეტი წარმომადგენლობითი ორგანოა და მასში თითოეული კლასი წარმოდგენილია ერთი მშობლით. მიმდინარე სასწავლო წელს უკვე ჩატარდა მშობელთა კომიტეტის არჩევნები. დირექციისა და მშობლების ერთობლივი ინიციატივით მიმდინარე სასწავლო წელს მშობლები ჩაატარებენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან იმასთან დაკავშრებით, თუ როგორ გახდნენ წარმატებულები. ამრიგად, როგორც სკოლის მირ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე მშობლებთან და დირექციასთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ მშობლებს აქვთ საშუალება ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში და ამ შესაძლებლობას კარგად იყენებენ მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“ მშობელთა კომიტეტის დებულება; • 2022 წლის 22 ივნისის ბრძანება N2-34 ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“ მშობელთა კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ; • 2022 წლის 12 სექტემბრის ბრძანება N2-53 ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“ მშობელთა კომიტეტის არჩევნების თარიღს განსაზღვრისა და კომისიის შექმნის შესახებ; • 2022 წლის 22 ივნისის ბრძანება N2-36 ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“ მშობელთა ჩართულობისა და მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესის დამტკიცებაზე; • ინტერვიუ დირექციასთან; • ინტერვიუ მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაფასებლად სკოლას გამოყენებული აქვს მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ანონიმური გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვის შედეგები გაანალიზებულია და პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე (20 ივნისი 2022 წელი. პედსაბჭოს ოქმი N4) და შემუშავებულია რეკომენდაციები მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის გასაუმჯობესებლად, რაც ასახულია კიდეც 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. დაწესებულებას 2022 წლის 22 ივნისის N2-28 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლაში პროცესების ეფექტიაანად მართვისათვის გამოყენებულია PDCA მიდგომა. დაგეგმვის ნაწილში სკოლას განსაზღვრული აქვს განსახორციელებელი სამუშაო, განხორციელების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები. შემოწმების ნაწილში სკოლას განსაზღვრული აქვს შიდა მონიტორინგი, რომელსაც განახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი შიდამონიტორინგის ჯგუფი, და შემოწმების საგანი. რეაგირება-განვითრების ნაწილი მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებაც. მისი თითოეული შემადგენელი ნაწილის შეფასების კრიტერიუმი და შეფასების ინსტრუმენტი. მონიტორინგის ჯგუფს ევალება შემოწმების აქტების შედგენა ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას და სემესტრის ბოლოს. აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით სკოლას N2-29 (2022 წლის 22 ივნისი) ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს შიდამონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც იხელმძღვანელა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელა ახალი სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი და წარმოდგენილი აქვს შესაბამისი აქტი 2022 წლის 5 სექტემბერს. ამრიგად, სკოლა ორიენტირებულია სასკოლო სასწავლო გეგმის მუდმივ შეფასებასა და მის განვითარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები; • პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N4 (2022 წლის 20 ივნისი); • ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • N2-28 22.06.2022 ბრძანება ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ; • ბრძნება N2-29 შიდამონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ 2022 წლის 22 ივნისი; • მონიტორინგის ჯგუფის აქტი N1 (2022 წლის 05 სექტემებრი); • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ,,ორ ავნერ და ჰანა“ (ID ნომერი 205195457) მდებარეობს ქალაქ თბილისში, მისამართზე - კრწანისის ქუჩა, N14 გ. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის (10/10/2022) მიხედვით, სკოლის საკუთრებაშია 3628 კვ.მ.მიწის ფართობი და სამსართულიანი შენობა-ნაგებობა N1 და N3, საერთო ფართობით 2197 კვ.მეტრი, სადაც განთავსებული სკოლა. სკოლის შენობას აქვს კეთილმოწყობილი და კაპიტალურად შემოღობილი ეზო. ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი, რომელსაც სკოლა იყენებს სწავლების პროცესში. სკოლის ეზოში N2 მშენებარე შენობა-ნაგებობა გათვალისწინებულია საბავშვო ბაღისთვის, აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი და იზოლირებულია სკოლის საერთო შენობისაგან. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებდა.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა, N14 გ
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**N01.18.06.018.057**
კვ.მ.	**3628 კვ.მ.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (მომზადების თარიღი 10/10/2022);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შენობების შიდა აზომვითი ნახაზი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს 14 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, საინფორმაციო ტექნოლოგიების ოთახი, დირექტორისა და აკადემიური დირექტორის ოთახები, კანცელარია, საკონფერენციო დარბაზი, მრავალფუნქციური დარბაზი, ხელოვნების ოთახი, ექიმის ოთახი და სხვა დამხმარე სათავსოები. საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით: ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური მერხებით და სკამებით (სულ 143 ერთეული ერთადგილიანი და 36 ერთეული ორადგილიანი მერხით და სკამით), მასწავლებლის მაგიდით, სასკოლო დაფებით და კარადებით. სკოლას ასევე აქვს სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისათვის აუცილებელი დამხმარე მასალები: პლაკატები, ტაბულები, სქემები და სხვა მატერიალური საშუალებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შიდა აზომვითი ნახაზი; • სასკოლო ინვენტარის (მერხები, სკამები, დაფები და სხვა) ფლობის დოკუმენტები: ✓ სასაქონლო ზედნადებები; ✓ საგადასახადო გადარიცხვის ქვითრები და მიღება-ჩაბარების აქტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი ეზოში რბილი საფარით და მრავალფუნქციური დარბაზი შენობის პირველ სართულზე. სასკოლო სივრცე და კლასებში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა, სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სპორტული ინვენტარი - კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის ბურთები, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის პატარა ზომის ბურთები, ფიშკები, კონუსები, 2 ჩოგბურთის მაგიდა და სხვა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სპორტული ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის მე - 3 სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. სკოლას შეძენილი აქვს ლაბორატორიის სრული აღჭურვილობა: ბიოლოგიის (ანატომიის) მულაჟები, ფიზიკის თანამედროვე მაკეტები, ქიმიის რეაქტივები (რომლებიც ინახება საკეტიან რკინის სეიფში), მიკროსკოპები, კოლბები, მაგნიტები და სხვა ნივთები. კაბინეტში გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. მოსწავლეებს შეუძლიათ ლაბორატორიაში პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, კვლევის შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. მასწავლებელთა მოთხოვნის საფუძველზე პერიოდულად ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საჭირო აღჭურვილობის, ინვენტარის, პრეპარატების, თვალსაჩინოებების, რეაქტივების და ა.შ. შეძენა და განახლება. ლაბორატორიას აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გამწოვი კარადა, ფანჯრები ბუნებრივი ვენტილაციისათვის, ონკანი - ნიჟარით და შეიცავს ყველა იმ დასახელების აღჭურვილობას, რაც განსაზღვრულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ N572 ბრძანებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ლაბორატორიით სარგებლობის წესი; • შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი გარემო. კერძოდ, ნათელი საკლასო ოთახები, ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევაში, ავტომატურ რეჟიმში, აკუმულატორზე მომუშავე სათადარიგო სისტემა (რაც სრულად უზრუნველყოფს ელექტროენერგიის შეუფერხებელ მიწოდებას). დამონტაჟებულია ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემა. სართულების მიხედვით ცალ-ცალკე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის, ვაჟებისათვის და პერსონალისათვის (სულ 19 ერთეული). დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არის ონკანები, ნიჟარები. სველი წერტილი მომარაგებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თხევადი საპნითა და ხელის საშრობი ქაღალდის დისპანსერებით, თავსახურიანი ურნებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • დენის, გაზის და წყლის გადახდის ქვითრები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია სკოლის შენობის მე - 2 სართულზე ერთ სივრცეში და დაყოფილია ზონებად. თაროებზე წიგნები განთავსებულია ანბანური და სისტემური კატალოგის მიხედვით, აღრიცხულია საინვენტარო წიგნში და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (ქართულ, ებრაულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) შეადგენს 1734 ერთეულ წიგნს. განახლებულია მე-10 კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, გაფორმებულია ხელშეკრულება ჟურნალების -,,ისტორიანი“ და ,,National Geographic” გამოწერასთან დაკავშირებით, რომელიც ეტაპობრივად მიეწოდება სკოლას. ბიბლიოთეკაში არის 2 ლეპტოპი და სკოლა იყენებს ელექტრონულ კატალოგს ,,Open Biblio“ . გარდა ამისა, სკოლის ყველა სართულზე, დერეფნებში მოსწავლეებისათვის მოწყობილია სამკითხველო ზონები და განთავსებულია საკითხავი წიგნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკარის ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები: მიღება-ჩაბარების აქტები, შესყიდვის დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიუ ბიბლიოთეკართან; • პერიოდიკის მომწოდებელ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება; • ბიბლიოთეკის დებულება; • დოკუმენტი - ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი"; • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი; • მკითხველთა ფორმულარები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. პირველ სართულზე სკოლის გარემო ადაპტირებულია და მოსწავლეს შეუძლია მოხვდეს როგორც სკოლის ეზოში, ისე კვების ბლოკში, ხოლო მეორე და მესამე სართულზე გადაადგილება შესაძლებელია ლიფტის გამოყენებით. სკოლაში 2 ერთეული ადაპტირებული სველი წერტილია - 1 გოგონებისთვის, 1 ვაჟებისთვის. აღნიშნული სველი წერტილები მოსახერხებელია ეტლით მოსარგებლე შშმ პირთათვის, აქვს დიდი ფართი და შესაძლებელია სსსმ მოსწავლისთვის ხელის ორივე მოსაჭიდი სახელურის დანიშნულებისამებრ გამოყენება. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას ეტლით მოსარგებლე მოსწავლე არ ჰყავდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • მიღება-ჩაბარების აქტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო - სასწავლო და სტრატეგიული გეგმებით განსაზღვრული მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. დაწესებულებას აქვს 17 ერთეული კომპიუტერი, 15 ერთეული ნოუთბუქი, 8 ერთეული პლანშეტი, 1 ერთეული სმარტ დაფა, 3 ერთეული პროექტორი, 3 ერთეული პრინტერი/ქსეროქსი, LEGO Education 8 ნაკრები (WeDo 2,0), Matatalab 3 ერთეული. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული 14 პერსონალური კომპიუტერით. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ და ინტერნეტით მიიღონ ყველა საჭირო ინფორმაცია. სკოლაში მოქმედებს სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა ,,EduPage", რომელიც ხელმისაწვდომია მშობლებისთვისაც. ელექტრონულ ჟურნალში შესაძლებელია როგორც შეფასების, ასევე განმავითარებელი კომენტარისა და საშინაო დავალებების შეტანა. დომენისა და ჰოსტინგის შესახებ ხელშეკრულება გაფორმებულია შპს ,,პროსერვისთან". სკოლის აქვს ვებ-გვერდია www.oravner.ge , რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლის ელექტრონული ფოსტაა school@oravner.ge
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ელ. ჟურნალის ვიზუალური დათვალიერება; • მომსახურების ხელშეკრულებები; • საგადახდო დავალებები; • კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს რეკომენდაციების საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც მიმდინარე წელს (MIA 2 22 01787668, 01/07/2022) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან აქვს შეთანხმებული და მოიცავს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს. სკოლის ტერიტორია აღჭურვილია ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით, კერძოდ, სახანძრო ყუთებით (6 ერთეული) და ცეცხლმაქრებით (7 ერთეული), რომლებიც განთავსებულია სკოლის საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. ყველა ცეცხლმაქრზე დატანილია გადამუხტვისა და მოქმედების ვადები. საკლასო ოთახებსა და დერეფნებში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო, კვამლის აღმომჩენი დეტექტორები, ხმოვანი სასიგნალო მოწყობილობები, მანათობელი ნიშნები და ხანძრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჩაქრობის ავტომატური სისტემა. შემუშავებულია ხანძრის გაჩენის შემთხვევაში ადამიანთა უსაფრთხოებისა და სწრაფი ევაკუაციის უზრუნველსაყოფად სკოლის პერსონალის მოქმედების ინსტრუქცია. აღნიშნულ თემაზე ჩატარებულია ტრენინგები. სკოლის აქვს საევაკუაციო გასასვლელი და სახანძრო კიბე და შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • 6 ცეცხლმაქრის დატენვის საგადახდო დავალება; • ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან; • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც შესრულებულია ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ . თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის სამსახურის ტელეფონის ნომერი - 112.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი. ექიმის კაბინეტი განთავსებულია შენობის მეორე სართულზე. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და მიმდებარედ, იზოლირებული სველი წერტილი ნიჟარით. მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა დაცულია. ექიმის მიერ მედიკამენტების გაცემა აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში. გამოკრულია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, კომპიუტერი, სკამები, შირმა, სასწორი, საათი, მაცივარი, სამედიცინო ტახტი, გადასატანი/მობილური ტახტი კარადა, სადაც განთავსებულია პირველადი მოხმარების მედიკამენტები და ელექტრო და მექანიკური სამედიცინო ინვენტარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სამედიცინო მომსახურის დებულება; • პირველადი სამედიცინო მედიკამენტების და ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტები; • ექიმთან ხელშეკრულება; • ინტერვიუ ექიმთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შემუშავებული აქვს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები და მოსწავლეებისა და თანამშრომელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ქმნის უსაფრთხო გარემოს. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, შემუშავებულია „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან (MES 5200000603531,15/07/2020). გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,ომეგა მ.ბ.რ"-თან, რომელიც დაცვის თანამშრომლების მეშვეობით 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას და სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; • ,,ომეგა მ.ბ.რ"-სთან გაფორმებული ხელშეკრულება; • საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის MES 5200000603531 წერილი უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შეთანხმებაზე.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების გარე პერიმეტრი, შენობაში შესასვლელი ყველა კარები და შენობა სრულად კონტროლდება ვიდეო მეთვალყურეობის კამერებით. სკოლაში სულ 35 ერთეული (16 გარე პერიმეტრზე, 19 შიდა პერიმეტრზე) უსაფრთხოების კამერაა. ვიდეოჩანაწერის ჩვენება ხდება მონიტორზე, რომლის მუშაობას მუდმივად აკვირდება სპეციალურად გამოყოფილი პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამონტაჟებული ვიდეო კამერების პარამეტრები შეესაბამება შსს მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ პარამეტრებს და დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სათვალთვალო კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; • სასაქონლო ზედნადებები; • შრომითი ხელშეკრულები უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებას შემუშავებული აქვს ორგანიზაციის წესდება, დებულება, შინაგანაწესი და საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის საჭირო სხვა დოკუმენტები (ბიბლიოთეკის დებულება, დამრიგებლის დებულება,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, საქმისწარმოების წესი და სხვა). სკოლის დებულებით განსაზღვრულია სკოლის სტატუსი, მიზნები და ამოცანები, პრიორიტეტები, უფლებამოსილება, სტრუქტურა და მართვის პრინციპები, სკოლის დირექციის, ადმინისტრაციული, ტექნიკური და სხვა პერსონალის უფლებები და მოვალეობები, სკოლის სტრუქტურული ერთეულების - პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, მშობელთა კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები, მოსწავლის და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები, სკოლის ქონებისა და ფინანსების მარეგულირებელი ნორმები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესები. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსისა“ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლას ასევე შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომლის მიზანია სკოლის მისიის შესრულების ხელშეწყობა, სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება და კონტროლი, დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა, სამუშაო დროის რეგულირება სკოლაში სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის და მოსწავლეთა ქცევის წესების მოწესრიგება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები (მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება სხვადასხვა სახის ტესტებით, ღია გაკვეთილების ორგანიზება და ჩატარება, ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგი და ა.შ.), შრომითი ურთიერთობის პირობები (მათ შორის კონფიდენციალურობა, სკოლაში ჩაცმულობის წესი და სხვა), მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის წესი. შინაგანაწესის მეხუთე-მეათე თავებით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება, სამსახურებრივი მივლინება, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/ საბოლოო ანგარიშსწორება და სხვა. შინაგანაწესის 21-ე მუხლი განსაზღვრავს მოსწავლეთა წახალისების ფორმებს (დირექტორის/აკადემიური დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება). შინაგანაწესის მე-12 თავში განსაზღვრულია დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური წარმოების წესი თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის შინაგანაწესი და დებულება შესაბამისია მოქმედ კანონმდებლობასთან და ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დაწესებულების წესდება; • სკოლის დებულება; • სკოლის შინაგანაწესი; • სტრუქტურულ ერთეულთა დებულებები; • ინტერვიუ დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ერთწლიანი (2022-2023 სასწავლო წლის) და გრძელვადიანი (2022-2028 წლების) სტრატეგიული გეგმები. განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, ეფუძნება სკოლის წინარე ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიულ გეგმას და 2021-2022 სასწავლო წლის SWOT ანალიზს. ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის მიხედვით, სკოლის ძირითადი მიზნები და პრიორიტეტებია: 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; 2. მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის გაგრძელება; 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; 5. მშობელთა ჩართულობის გაზრდა; 6. ორგანიზაციული განვითარება. ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა ასახავს სკოლის გრძელვადიან ხედვას, სკოლის მიზნებსა და ამოცანებს და ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტურ მუშაობას. სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია: 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; 2. ადამიანური რესურსის განვითარება; 3. სკოლის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; სკოლას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმების სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, განსაზღვრულია განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები და შესრულების პერიოდი. განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმების შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების პროცესებს, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმა; • 2021-2022 სასწავლო წლის SWOT ანალიზი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც მტკიცდება სკოლის დირექტორის ბრძანებით და მასში ცვლილების შეტანა ხორციელდება ამავე წესით. წინამდებარე წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე და ყველა თანამშრომელზე. საქმისწარმოების წესის მიხედვით სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალს, საერთო და საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალს, შრომითი და მშობელთა ხელშეკრულებების რეესტრის/აღრიცხვის ჟურნალებს. საქმისწარმოების ორგანიზებას ახორციელებს სკოლის საქმეთა მმართველი. ჟურნალები აკინძულია, დანომრილია, ზონარგაყრილია და დამოწმებულია დირექტორის მიერ. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილი ფორმდება სატიტულო ფურცელზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების ერთიანი წესი; • სარეგისტრაციო ჟურნალები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის საშტატო განრიგი მოიცავს დირექციას, პედაგოგიურ პერსონალსა და დამრიგებლებს, ადმინისტრაციას და დამხმარე პერსონალს. მართვის საინფორმაციო სისტემის e-school - ის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია 37 პირი, მათ შორის: დირექტორი, აკადემიური დირექტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითრების პროგრამების კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ფსიქოლოგი, 25 - მასწავლებელი, 2- დამლაგებელი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, მებაღე-მეეზოვე, დაცვა, ლაბორანტი. გარდა ამისა სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ომეგა მ.ბ.რ“-თან (დაცვით ორგანიზაციასთან). ხელშეკრულების საგანია ყოველდღე 24 საათის განმავლობაში დაიცვას დამკვეთის მფლობელობაში არსებული სკოლა. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში სკოლას დამატებით იცავს შპს „ომეგა მ.ბ.რ“-ის დაცვის სამსახურის თანამშრომელი (ჯამში 3 თანამშრომელი) სკოლაში დასაქმებული პერსონალის კომპეტენცია, საქმიანობის წესი, ფუნქციები განისაზღვრება სკოლის დებულებით და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივ ბადეს. ამრიგად, „ორ ავნერ და ჰანას“ ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მართვის საინფორმაციო სისტემა e-school; • სკოლის დებულება; • ხელშეკრულება ობიექტის დაცვის შესახებ 30 დეკემბერი 2019 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	25
მოწვეული/მაძიებელი	5/2
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
უფროსი მასწავლებლი	13
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0
სტატუსის გარეშე	5 (დამატებითი სავალდებულო საგნების: ივრითი, პატარა ებრაელი, ებრაული ტრადიცია მასწავლებლები)

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ორ ავნერ და ჰანას აკადემიური დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის N2-62 ბრძანებით განსაზღვრულია ა(ა)იპ ორ ავნერ და ჰანას მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც ადგენს სკოლაში მასწავლებლის/ მასწავლებლობის მაძიებლის საქმიანობის დაწყების, მათ შორის, კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს. აღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის''მოთხოვნებთან. სკოლას ყველა თანამშრომელი აყვანილი ჰყავს დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1^2 პუნქტით (მასწავლებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა) და 33^1 მუხლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთნ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღდეგ მიმართული დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა) პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვის გათვალისწინებით, სკოლაში დასაქმებული თნამშრომლების პირად საქმეებში წარმოდგენილია შესაბამისი ცნობები. ამრიგად, სკოლა მასწავლებელთა შერჩევისას იცავს **„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ორ ავნერ და ჰანას მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი; • აკადემიური დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის N2-62 ბრძანება; • პირადი საქმეები; • teacherjobs.ge; • საკონკურსო კომისიის ოქმები; • ბრძანებები კომისიის შექმნაზე; • ინტერვიუ მასწავლებლებთან; • ინტერვიუ დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ოვნერ და ჰანაში თანამშრომელთა შერჩევა, მიღება და გათავისუფლება რეგულირდება შინაგანაწესით და მასწავლებელთა ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესით (2021 წლის ბრძანება N2-62). სკოლის მასწავლებლები სამუშაოზე მიიღებიან კონკურსის გზით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად, ხოლო სხვა თანამშრომლები დირექტორთან გასაუბრების გზით ან დირექტორის გადაწყვეტილებით - კონკურსის გზით. მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად კონკურსის შემთხვევაში დირექტორის ბრძანების შესაბამისად ცხადდება შიდა კონკურსი ან შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში ღია კონკურსი. ღია კონკურსის შემთხვევაში: • განცხადება მასწავლებლის/მასწავლებლის მაძიებლის მასწავლებლის ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანების მიხედვით ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე - www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე; • ხდება ვაკანტური საათების შესავსებად კანდიდატების განცხადებების გადარჩევა და დგება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი; • ხდება შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება რაც დასტურდება ასევე შესაბამისი ოქმით; • შერჩეულ კანდიდატთან ფირმდება ხელშეკრულება. დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და შინაგანაწესის მე-10 თავში, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ 48-ე მუხლის შესაბამისად. სკოლაში მოქმედებს წახალისებისა და სანქციების სისტემა. რომელიც განისაზღვრება შინაგანაწესის მე-11 და მე-12 თავებით. ამრიგად, სკოლის მიერ განსაზღვრული თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • მასწავლებელთა ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი; • საკონკურსო კომისიის ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge • შესაბამისი ბრძანებები (კონკურსის გამოცხადებაზე, საკონკურსო კომისიის შექმნაზე, ხელშეკრულების გაფორმებაზე); • ინტერვიუ მასწავლებლებთან; • ინტერვიუ დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულ ყველა პირთან გაფორმებულია შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულება ყველა ერთწლიანი. შრომით ხელშეკრულებების შინაარსში წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს: • ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები; • ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“ კათედრების დებულება რომელშიც განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები და დაკონკრეტებულია პროფესიული განვითარების მიმართულებით კათედრის საქმიანობა; • ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამივე დოკუმენტის მიზანია მასწავლებელთა და სკოლაში დასაქმებული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მასწავლებლების პროფესიული საჭიროების განსაზღვრა და პროფესიულ განვითარება, მასწავლებელთა შიდა შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. სკოლაში რეგულარული ხასიათი აქვს მასწავლებელთა ხარისხის ჯგუფის დასწრებას საგაკვეთილო პროცესზე დებულების შესაბამისად და კათედრის წევრთა ურთიერთდასწრებას. საგაკვეთილო პროცესზე დასწრების შედეგები ანალიზდება, განიხილება მასწავლებლებთან ერთად, დგინდება მასწავლებლის საჭიროებები და სკოლა გეგმავს საჭიროებაზე მორგებულ შიდა და /ან გარე რესურსებით მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას სხვადასხვა ტრენინგებითა და პროექტებით მაგ. • ისტის და ტექნოლოგიების მასწავლებელმა სკოლის მასწავლებლებს გააცნო ციფრული ინსტრუმენტები და ონლაინ რესურსები; • **სკოლაში ხორციელდება პროექტი „ინოვაციების ლაბორატორია“. ის** ორწლიანია და ითვალისწინებს პედაგოგთა მხრიდან საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გარკვეული სიახლეების დანერგვას და ტექნოლოგიების გამოყენებას, სასწავლო რესურსების შექმნასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში; • სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების მიერ მასწავლებლის სახლში გავლილი სხვადასხვა ტრენინგ კურსებისა და ვებინარების დამადასტურებელი ცნობები; • „ორ ავნერ და ჰანას“ ივრითის პედაგოგები ჩართულნი არიან ისრაელის განათლების სამინისტროს („ხეფციბას“) მიერ ორგანიზებული სემინარებში, ტრენინგებში და პროექტებში „ტალ-ამ 1“ და „აი-ტალ-ამ 1“ - I და II კლასის მასწავლებლები; „ტალ-ამ 2“ და „აი-ტალ-ამ 2“ - III კლასის მასწავლებლები; „ტალ-ამ 3“ და „აი-ტალ-ამ 3“ - IVკლასის მასწავლებლები; „ტალ-ამ 4“ და „აი-ტალ-ამ 4“ - 5 და 6 კლასის მასწავლებლები; „ტალ-ამ 5“ და „აი-ტალ-ამ 5“ - 7 და 8 კლასის მასწავლებლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• IX-XII კლასის მასწავლებლებისთვის იგეგმება და ტარდება **„ბიშვილ ჰა-ივრით“-ის ტრენინგები.**ტრენინგები ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსის, ებრაული კულტურის, ტრადიციების და ენის უკეთ გაცნობა-შესწავლას; • სკოლის ფსიქოლოგმა მასწავლებლებისათვის ჩაატარ ტრენინგი მოსწავლეთა სასკოლო მზაობისთვის მხარდამჭერი პროცესების უკეთ მართვის მიზნით **თემაზე** „პირველკლასელების სკოლაში ადაპტაციის ეფექტურ ხერხები, მოსწავლეთა ტრანზიციის პროცესის გამოწვევების და მათი გადალახვის სტრატეგიები“; • **ტრენინგი „ჰაამაკა“** ითვალისწინებს პედაგოგებისათვის სწავლების სტრატეგიების, თანამედროვე მიდგომებით სწავლების მეთოდოლოგიის განხილვას. სიახლეების დანერგვას, ელექტრონული სასწავლო რესურსების გაცნობა და გამოყენებას. • შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი-ინსტრუქციას აძლევს სკოლის პერსონალს შრომის უსაფრთხოების შესახებ; • მტუკი თავის დაქვემდებარებულ პერსონალს უტარებს საორიენტაციო ხასიათის შეხვედრებს; • სკოლას, ისრაელის თავდაცვისა და კონტროლის სააგენტო Lotan Group International-თან თანამშრომლობით უტარებს ტრენინგ კურსებსა და კონსულტაციებს უსაფრთხოებასთან მიმართებით. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის მოწვეულ ქოუჩს დაგეგმილი აქვს ტრენინგების ციკლი: • მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო - სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები ; • მოსწავლეების გენდერის, სოციალური განსხვავებებისა და განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინება სასწავლო პროცესში; • “მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები” , • კათედრების ქოუჩინგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის წევრთა ფუნქცია-მოვალეობები და სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ამრიგად სკოლა ორიენტირებულია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაბამისად საჭირო ღონისძიებების ორგანიზება/განხორციელებაზე, რისთვისაც ის განსაზღვრავს პერსონალის საჭიროებას გამოკითხვებით, სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, მასწავლებელთა თვითშფასებებით, მათთან კომუნიკაციით და გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბრძანებაN 2-28 (22/06/2022 წ) ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ; • ბრძანება N 2-39 (22/06/2022 წ) ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმი/პოლიტიკის დამტკიცების შესახებ; • ბრძანება N2-56 ა(ა)იპ „ორ ავნერ და ჰანას“ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ; • ურთუერთშეთანხმების დოკუმენტი სკოლას, ისრაელის თავდაცვისა და კონტროლის სააგენტოს და Lotan Group International-ს შორის; • სამსახურეობრივი ბარათები; • ტრენინგების გეგმები; • ინტერვიუ მასწავლებლებთან; • ინტერვიუ დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დაცულია ბავშვისა და პერსონალის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება, თითოეული მათგანი ჯგუფის წევრად გრძნობს თავს. დაწესებულება ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ-ემოციურ, სოციალურ, ფიზიკურ, შემეცნებით განვითარებაზე რისთვისაც სისტემატურად იკვლევს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს გამოკითხვებითა და გასაუბრებებით გეგმავს და ახორციელებს სასკოლო პროექტებს, შექმნილი აქვს კლუბები. სკოლის გარემო პასუხობს ბავშვის ცნობისმოყვარეობას, სთავაზობს გამოწვევებს და ხელს უწყობს ბავშვის სწავლასა და განვითარებას. ბავშვის პოტენციალის სრულად გამოვლენისათვის სასკოლო სივრცეები დაყოფილია საგამოფენო ზონებად და გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლაში მოქმედი მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების დადასტურებაა. სკოლის სტრუქტურა მის წევრებს შორის ფუნქციათა ეფექტიანად გადანაწილებას უწყობს ხელს. სკოლის მასწავლებლებსა და პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა სისტემატურად სრულყოს საკუთარი პროფესიონალიზმი. ამ მიმართულებით მათი ყოველი მცდელობა წახალისებულია. სკოლაში მოქმედებს მშობელთა კომიტეტი, რომლის ფარგლებშიც მშობლები აქტიურად არიან ჩართულები სკოლის ცხოვრებაში, მონაწილეობენ სასკოლო ღონისძიებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ მოსწავლეებთან; • ინტერვიუ მასწავლბლებთან; • ინტერვიუ მშობლებთან; • სკოლის სტრუქტურა; • სკოლის დებულება; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

- დანართი 1. ბრძანება MES 7 22 0000840484. 25/07/2022 წ.-1 ფურცელი;
- დანართი 2. თანხმობა მეორე უცხოურ ენად ივრითის სწავლება-2 ფურცელი;
- დანართი 3. წერილი MES 7 22 0000847766- 2 ფურცელი;
- დანართი 4. **წერილი** MES 3 22 0001033106 – 1 ფურცელი.

თბილისი
(შევსების ადგილი)
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

01/11/2022 წ
გვერდების რაოდენობა 52 (ორმოცდათორმეტი)

52

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.